## საბჭოთა ტოპონიმების ტერიტორიული განაწილების თავისებურებანი: საქართველო

ჩვენს უახლოეს წარსულში, რომელიც საბჭოთა პერიოდის სახელითა ცნობილი, არაერთ ქართულ ტოპონიმს შეეცვალა სახელი და მათ ე.წ. „წითელი ტოპონიმები ჩაენაცვლა. დავიწყებასაც მიეცა მრავალი ძველი ქართული გეოგრაფიული სახელი. მართალია, 1990-იანი წლების შემდგომ მოხდა ზოგიერთი მათგანის "აღდგენა", თუმცა მრავალ ადგილს საქართველოს რუკაზე დღემდე კვლავ საბჭოთა „ნათლობის“ სახელი შემორჩა.

**კვლევის მიზანია** საბჭოთა ტოპონიმიის მასშტაბების დადგენა საქართველოში, მათი ტერიტორიული განაწილების ზოგიერთი გეოგრაფიული თავისებურების გამოვლენა.

გის-ტექნოლოგიებისა და გეოგრაფიული ანალიზის შედეგად შესრულდა შემდეგი ამოცანები:

- შედგა საბჭოთა ტოპონიმების ნუსხა მათი სახელდების გარემოებებისა და თარიღების გათვალისწინებით;
- გამოვლინდა"გასაბჭოების" მასშტაბები საქართველოს ცალკეული მხარეების მიხედვით და გამოვლინდა მათი ტერიტორიული განაწილების ზოგიერთი თავისებურება;
- განხორციელდა საბჭოთა ტოპონიმების სახელდების პერიოდიზაცია;
- შედგა საქართველოს საბჭოთა ტოპონიმების რუკა.